პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

26 სექტემბერი, შაბათი, 1987 წ. № 185 (9596) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 26-27 სექტემბერი



# ყველანი სტადიონებზე

## ფეხბურთის დღეები — ჩვენი საყოველთაო სიხარული!

**საქართველოში** ფეხბურთს არ აკლია საერთო-სახალხო სიყვარული და მზრუნველობა, ყველგან, სადაც ამისი მცირეოდენი საშუალებაც კი არსებობს, ფეხბურთს თამაშობს დიდი და პატარა, ახლა ფეხბურთში გოგონებიც ჩაებნენ და ყველაფერი ეს მუდამ სადღესასწაულო განწყობილებას ქმნის მოთამაშეებშიც და მაყურებლებშიც.

ფეხბურთის დღე საქართველოში ამ რამდენიმე წლის წინ დაწესდა, მას მუდამ ზეიმით აღვნიშნავთ, ახლა კი საკავშირო სპორტსახკომის დადგენილებით ფეხბურთის დღე საკავშირო მასშტაბით ეწყობა, საფეხბურთო დღესასწაული გაიმართება ყველგან — ქალაქად თუ სოფლად, საკავშირო საფეხბურთო ზეიმის ცენტრად კუიბიშევის ოლქი აირჩიეს, აქაური სტადიონები, სხვადასხვა ბაზები, მოედნები უმასპინძლებენ მოასპარეზეებს, კუიბიშევის საქალაქო ალმასკომის პრიზის გათამაშებაში მინიფეხბურთის ასეულობით გუნ-

იხ. მე-2 გვ.

## ნებისყოფა!

### გია შენგელიამ სსრ კავშირის გუნდს გამარჯვება მოუტანა



**დრამატულად** წარიმართა მესტენდურეთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება ბერლინში, უფრო სწორედ მის გარეუბან ჰოპენგარდენში, სადაც სპორტული ქალაქია გაშენებული. ამ ტრადიციულ ტურნირში — ფ. ძერჟინსკის პრიზზე, ჩვენი ქვეყნიდან „დინამოს" ნაკრები მონაწილეობდა თამაზ იმნაიშვილის გამოკლებით. თამაზი, როგორც [illegible]

იხ. მე-3 გვ.

სურათზე: გია შენგელია ჰოპენგარდენის სტენდზე.

# საუნჯეს დავუდგეთ გუშაგად

## სპორტის ეროვნული სახეობებისა და ხალხური თამაშების აღორძინებაზე ზრუნვა ყველას ვალია

არსებობის გრძელ გზაზე ქართველმა ერმა შექმნა თვითმყოფი კულტურა, რომლის განუყოფელი ნაწილია სპორტის ეროვნული სახეობები და ხალხური თამაშები. ჩვენში შექმნილმა ფიზიკური აღზრდის ხალხურმა სისტემამ ურიცხვ მტერთა გარემოცვაში მყოფი ერი ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა.

ცხოვრება თავისი გზით მიდის, ბევრი საშუალება, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ხალხის სულიერ და ფიზიკურ სრულყოფას ემსახურებოდა, დავიწყებას მიეცა. ეს პროცესი, შეიძლება ითქვას, კოსმოსური სისწრაფით დააჩქარა ურბანიზაციამ და მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა. ცხადია, ასე არ შეიძლება გაგრძელდეს. რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ უდავოდ კარგი საქმე გააკეთა, როცა ხალხური თამაშები ეგრეთ წოდებული „დიდი დასვენების" პროგრამაში შეიტანა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ალბათ, რესპუბლიკაში უნდა შეიქმნას სპორტის ეროვნული სახეობებისა და ხალხური თამაშების რესპუბლიკური ფედერაცია. იქნებ სამეურნეო ანგარიშზე ბავშვთა გამაჯანსაღებელი [illegible]ც შევქმნათ. ცნობილია, სპორტის ეროვნული სახეობები დიდ როლს ასრულებს სპორტული მოძრაობის წინსვლის საქმეში.

ესტონეთში ამ რამდენიმე წლის წინათ სოფლებში სპორტის კლასიკური სახეობების დანერგვა ეროვნული სახეობებისა და ხალხური თამაშების მასობრივი აღორძინებით დაიწყეს და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. მათი გამოცდილება ჩვენც უნდა გავიზიაროთ. მით უმეტეს, რომ სულ ახლახან გაზეთმა „იზვესტიამ" საკავშირო დათვალიერება-კონკურსი გამოაცხადა, სადაც განსაკუთრებული ადგილი ეთმობა „ადგილობრივი და ეროვნული სახეობების" შემდგომ განვითარებას. საჭიროა აქტიურად ჩავებათ კონკურს-დათვალიერებაში, მივაკვლიოთ და ავაღორძინოთ ძველი თამაშები, ხალხური საშუალებებით სრულვყოთ ფიზიკური აღზრდის თანამედროვე სისტემა.

„ლელოს" რედაქცია თხოვნით მიმართავს სპეციალისტებს, კულტურის მოღვაწეებს, ყველას, ვინც დაინტერესებულია ამ საქმით, მოგვაწოდონ თავიანთი წინადადებები, გვირჩიონ რა ვილონოთ, რა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენი ეროვნული საუნჯე — სპორტის ეროვნული სახეობები და ხალხური თამაშები ჩვენი ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობის სამსახურში ჩადგეს.

**ლვოვში,** იუნიორ მესტენდურეთა საკავშირო პირველობაზე არმიელთა მეორე გუნდი, რომლის ღირსებას თბილისელი ზაზა ზანდარიშვილიც იცავდა, მეორე ადგილზე გავიდა ადგილიდან სროლაში.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

### ფარს მიხედეთ, დინამოელებო!



„შახტიორის" ფარს უტევს თბილისელი გია ხანაძე.

**ჩემპიონატის** სტარტზე გამართული ყოველი მატჩი გუნდის თავისებური სავიზიტო ბარათია, მაგრამ დიდი ემოციური დატვირთვის გამო ძალთა შეფარდებას იგი ოდნავ დამახინჯებულად წარმოგვიდგენს. ამიტომ პირველ მატჩზე ავიცა და კარგიც ზომიერად უნდა ვთქვათ, თანაც უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ ვინ ატარებს მას შინ და ვინ — გარეთ. აქ საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფსიქოლოგიური ფაქტორი (სურვილი იმისა, რომ პირველი შეხვედრა საკუთარ მოედანზე განსაკუთრებით კარგად ჩაატარო და მაყურებელს თავი დაამახსოვრო), თორემ ვინ დაიჯერებს, რომ უმაღლესი ლიგის დებიუტანტი ტალინის „კალევი" ლენინგრადის „სპარტაკზე" უფრო ძლიერია: არადა, პირველი სენსაცია სწორედ ლენინგრადში მოხდა: „კალევმა" არც ისე მძიმე, მაგრამ პრინციპულ ბრძოლაში შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი დამაჯერებლად დაჯაბნა.

იხ. მე-3 გვ.

**ტოკიო.** მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირში შუბისმტყორცნელთა შეჯიბრება მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა ალმაათელმა ვიქტორ ევსიუკოვმა მოიგო — 81,76 მ. სიგრძეზე ხტომაში საუკეთესო შედეგი მინსკელ ელენა ბელევსკაიას ჰქონდა — 707 სმ, ვაკეთა სიმაღლეზე ხტომაში კი ყველას შეედ-

**ტელეტაიპი – მკითხველი**

მა პატრიკ შიობერგმა აჯობა — 231 სმ. მსოფლიოს ექსრეკორდსმენი იგორ პაკლინი ამჯერად მეორე ადგილზე გავიდა — 225 სმ.

**ლუგანო (შვეიცარია).** ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალური ტურნირის პირველი მატჩი ცსკა-ს ჰოკეისტებმა შვეციის კლუბ „ფერიესტადთან" ფრედ — 4:4 (2:1, 2:0, 0:3) დაამთავრეს არმიელებმა გამარჯვება შეხვედრის მიწურულს, 7 წამით ადრე დათმეს. ადგილობრივი კლუბი „ლუგანო" დამარცხდა კოშიცეს (ჩეხოსლოვაკია) ვსჯ-სთან — 4:5 (1:2, 0:1, 3:2).



გუშინ თბილისში, „დინამოს" სტადიონზე, დაიწყო საქართველოს მძლეოსანთა საშემოდგომო ღია ჩემპიონატი, რომელშიც მასპინძლებთან ერთად მონაწილეობენ უზბეკეთისა და სომხეთის სპორტსმენები. ჩემპიონატი ჩვენს უძლიერეს მძლეოსანთა ძალების უკანასკნელი დათვალიერებაა წლევანდელ სპორტულ სეზონში.

შეჯიბრების პირველ დღეს ნაჩვენები შედეგებიდან აღსანიშნავია 110 მეტრზე თარჯრბენში გამარჯვებულის, თბილისელი იგორ ივანოვის მიღწევა — 13,9. ივანოვმა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. 100 მ თარჯრბენში პირველი იყო ერევნელი სტუმარი სვეტლანა ელენცოვა — 14,6.

## პირველია რესპუბლიკაში

### „ეტალონი": ძალა, სილამაზე, გრაცია

**ზედმეტი წონის მოკლებაში, ჰარმონიულად განვითარებაში ხელს შეგიწყობთ ათლეტური ტანვარჯიშის კოოპერაციული კლუბი „ეტალონი", რომელიც პირველია რესპუბლიკაში, და შეიქმნა თბილისში ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალურ საწყლოსნო-სპორტულ კომპლექსთან.**

საქინფორმის კორესპონდენტი შეხვდა კლუბის ხელმძღვანელს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს **დიმიტრი კაპცოვს** და რამდენიმე შეკითხვა მისცა.

● **რა მომსახურებას ითვალისწინებს „ეტალონი"?**

— კვირაში სამჯერ მეცადინეობა მოეწყობა თანამედროვე ტრენაჟერებით აღჭურვილ სპორტულ დარბაზში. კლუბის წევრები ისარგებლებენ აგრეთვე აუზითა და საუნით. გამოცდილი მასაჟისტები მოხსნიან დაღლილობას, დიეტოლოგი ექიმი კი დაუნიშნავს თითოეულს კვების შესაბამის რეჟიმს.

● **რა ეღირება კლუბის წევრობის მომსახურება?**

— თვეში ორმოცდაექვსი მანეთი.

● **ალბათ, ცოტა ძვირია, მაგრამ...**

— თავად ანგარიშეთ, რამდენ ფულს ხარჯავს ზოგიერთი თავისი ჯანმრთელობის „გაკაჟებისათვის", როცა მიმართავს დასახმარებლად ექიმებს, ხმარობს ძვირადღირებულ მედიკამენტებს. თამბაქოს მწეველები, სპირტიანი სასმელების მოყვარულები კი? ესეც საკმაოდ ძვირი ჯდება. არც იმათ უადვილდებათ, ვინც ცდილობს ზედმეტი წონა მოიკლოს, როცა მეტად საეჭვო დიეტებს მიმართავს...

● **ვის შეუძლია გახდეს კლუბის წევრი?**

— ყველას, ვისაც სურს გაიკაჟოს ჯანმრთელობა. მიუხედავად ასაკისა, ქალებსა და მამაკაცებს სილამაზისა და ჯანმრთელობის გარანტიას ვაძლევთ. ვიწვევთ ყველას, ვისაც ძალა და გრაცია ხიბლავს.

**გ. კორძაძე,**
**საქინფორმის კორ.**

# დიდი ნახტომი

ვახტანგ მინაშვილისგან პირველად ორი წლის წინ გავიგონე, ეტყობა, იღბალი არ მქონიაო.

მაშინ ჩვენც და მსაჯებიც დანანებით დავცქეროდით არეკნის ზოლს, სიგრძეზე ხტომის სექტორის წინ რომ არის „გახაზული". ზოლის კიდეს ძლივს აჩნდა ნაჭდევი — მხტომელმა სულ ოდნავ, მაგრამ მაინც დაარღვია შეჯიბრების წესი. არადა, რა ნახტომი იყო — 8 მეტრზე მეტი, თითქმის ერთი მტკაველით.

მაშინ საქართველოს რეკორდი 791 სანტიმეტრს უდრიდა.

ერთი უიღბლო ნახტომის გამო ბედზე ჩივილი, აბა, რა მოსატანი... მინაშვილს უფრო სხვა რამ აწუხებდა: დიდხანს იმკურნალა, ვიდრე ტრავმას მოიშუშებდა და სექტორში გამოსვლას მოახერხებდა. გამოვიდა და მიზანს ვერ მიაღწია... რაღაც ორიოდე სანტიმეტრის გამო.

ერთი კია: მაშინ ყველამ (ვინც სექტორთან ახლოს იყო) ირწმუნა, რომ მინაშვილს „დიდი ნახტომის" შესრულებაც შეეძლო, გაცილებით უფრო დიდი ნახტომისა, ვიდრე რესპუბლიკის რეკორდი იყო.

ზოგჯერ სპორტსმენი აღმაფრენის წუთებში თვით მისთვისაც საოცარ შედეგებს აღწევს (გაიხსენეთ ბიმონის მაგალითი), მაგრამ, ვიდრე ეს ბედნიერი წუთები დაუდგებოდეს, მრავალი წლის თავდაუზოგავი შრომა სჭირდება, შრომა იმ ბაზისის შესაქმნელად, ურომლისოდაც არ არსებობს დიდი შედეგები და დიდი წარმატებები.

ვახტანგ მინაშვილი პროფესიით ეკონომისტია (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა), მაგრამ, სპორტით ცხოვრობსო, რომ იტყვიან, ის კაცია. ასეთ ადამიანს არ სჭირდება იმის შეხსენება, რამდენი ოფლის ღვრაა საჭირო მიზნის მისაღწევად, შრომობდა კიდეც, მაგრამ ისეთი შედეგი, რომლისთვისაც ღირდა თავის გამოდება, არ ჩანდა.

მიზეზი ძირითადად ორი იყო. პირველი თვით ვახტანგისაგან მოვისმინეთ ამ წერილის დასაწყისში: უიღბლობა. მართლაც, საქმის უდიდესი სიყვარული და უდიდესი მოთმინება უნდა ჰქონოდა კაცს, რომ ტრავმებით გაწვალებულს, წლიდან წლამდე მაინც ევარჯიშა.

მეორე მიზეზი მწვრთნელთა ხშირი ცვლა გახლდათ.

პირველ ნაბიჯებს არ ვგულისხმობთ, მაშინ მისთვის სულ ერთი იყო, ვინ ავარჯიშებდა. ვანის რაიონის სოფელ ყუმურში დაიბადა, მას შემდეგ, რაც მძლეოსნობას გაუგო „გემო", კვირაში სამ-ოთხჯერ 12 კილომეტრის მანძილზე ვანის



სპორტულ სკოლა-ინტერნატში დადიოდა. მშობლიური რაიონიდან ყმაწვილს თბილი მოგონებები და მზრუნველი მზერა გამოჰყვა: რაიონის სპორტის ხელმძღვანელებმა უკვე იცოდნენ, რომ ბიჭი ნიჭიერი იყო და მის მომავალზე ფიქრობდნენ. გამომშვიდობებისას უთხრეს კიდეც, ჩვენი იმედი ყოველთვის გქონდესო.

თბილისში არჩილ კონსტანტინოვთან ვარჯიშობდა. ცუდი შედეგები არ ჰქონდა, მაგრამ მერე იგრძნო, მეტი იყო საჭირო.

ასე მოხვდა იგი სახელოვანი მხტომელის ვიქტორ სანეევის ჯგუფში. წელიწად-ნახევრის შემდეგ იქიდანაც წამოვიდა. ამ დროს საქართველოს რეკორდი მასწავლებელმა მოწაფეს „გადააბარა".

და მაინც, ისინი დაშორდნენ.

ვინც სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს იცნობს, ეს ამბავი ყველას გაუკვირდება. სახელოვანი სპორტსმენი ჯგუფს საკუთარი ინიციატივით, რომ იტყვიან, საზოგადოებრივ საწყისებზე ავარჯიშებდა და წვრთნას ისევე გულით ეკიდებოდა, როგორც მაშინ, როდესაც თვითონ გამოდიოდა სექტორში.

მიზეზი სულ სხვა იყო: დრო.

ვიქტორ სანეევს სპორტულ სამყაროში თავისი გამოკვეთილი ადგილი უჭირავს. ასეთი ადამიანი სასურველი და ხშირად აუცილებელი სტუმარია ყველგან. ვახტანგ მინაშვილი კი ის-ისაა ოსტატობის კარიბჭეს მიუახლოვდა და შეუნელებელ, ყოველდღიურ ყურადღებას მოითხოვდა. მართლაც წინსვლის დიდი სურვილი უნდა ჰქონოდა სპორტსმენს, რომ სახელოვან ჩემპიონთან ვარჯიშის ცდუნებას და მის ავტორიტეტს შელეოდა.

მორიგი არჩევანი თვითონ მას კი არა, საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობას ეკუთვნოდა — უთხრეს, ევგენი საპრონოვთან უნდა ივარჯიშოო. ეს გამოცდილი მწვრთნელი ახალი გადმოსული იყო დონეცკიდან.

მასწავლებელმა და მოწაფემ მალე გაიცნეს ერთმანეთი: ერთიც „ფანატიკოსი" იყო და მეორეც. ორივე მზად იყო მთელი დღე სტადიონზე გაეტარებინა. ახალ მწვრთნელთან ვარჯიშმა ხტომის შესახებ არსებული წარმოდგენა მთლიანად შეუცვალა სპორტსმენს. „მისი მეთოდი ჩემთვის სრულიად ახალი იყო, — მიამბობდა შემდეგ. — მე ის-ის იყო თავად დავიწყე გარკვევა ჩემი სახეობის ნიუანსებში. მანამდე, უბრალოდ, მწვრთნელის მითითებებზე ვიყავი დამოკიდებული... საპრონოვი სავარჯიშო გეგმის შედგენისას ბევრ რამეს მეც მეკითხებოდა. სპორტსმენს, ეტყობა, იმ გეგმის შესრულება უფრო ეიოლება, რომლის შემუშავებაში თვითონაც მიუძღვის წვლილი. მოკლედ, მალე გამოვნახეთ საერთო ენა"...

შარშან, საბჭოთა კავშირის მეცხრე სპარტაკიადაზე ვახტანგ მინაშვილმა, პირველმა საქართველოს მხტომელთაგან, 8 მეტრის ზღვარი დაძლია — ტაშკენტში 802 სანტიმეტრზე გადახტა. ამ ნახტომმა მას ბრინჯაოს მედალი მოუტანა. ვანელებმა გაიხარეს. შეხვედრა მოუწყვეს ვახტანგ მინაშვილსა და მის მწვრთნელს, მათს პატივსაცემად მძლეოსანთა შეჯიბრება გამართეს...

წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში მინაშვილმა მე-6 ადგილი დაიკავა. ცუდად არ გადამხტარა — 8 მეტრი აჩვენა, მაგრამ ეს ის შედეგი არ იყო, რისთვისაც მოწაფემ და მასწავლებელმა ოფლი ღვარეს. მსოფლიო ჩემპიონატის საგზური გვერდზე დარჩა. თუმცა სწორედ რომში გამოსვლა იყო მათი მთავარი მიზანი წლევანდელ სპორტულ სეზონში. არადა, ვითარებაც ხელს უწყობდათ: ემიანის გარდა საკავშირო ნაკრებს სიგრძეზე ხტომაში სხვა „სტაბილური" წევრი არ ჰყავს და მწვრთნელები გაფაციცებით ეძებენ ახალ, საიმედო სპორტსმენებს.

ამ გამოსვლას მაინც ვერ დავარქმევდით მარცხს: ქართველ მხტომელს ნატკენი ფეხი კვლავ აწუხებდა და მხოლოდ გამაყუჩებელი ნემსის გაკეთების შემდეგ შეძლო სარბიელზე გამოსვლა.

შემდეგ საქმე უკეთესად წავიდა. ევგენი საპრონოვის მეუღლის, პროფესიით ექიმ ნათელა კაკიაშვილის მუდმივმა მეცადინეობამ ნაყოფი გამოიღო და სპორტსმენი მყარად დადგა ფეხზე. რამდენიმე დღის წინ ვახტანგ მინაშვილმა გაიმარჯვა ბაქოში 26 კომისრის ტრადიციულ საერთაშორისო მემორიალში და შედეგიც საერთაშორისო კლასისა აჩვენა — 811 სმ. სულ ორიოდე წლის განმავლობაში მან რესპუბლიკის რეკორდი 20 სანტიმეტრით გაზარდა.

„პირდაპირ ველარ გცნობ" — კმაყოფილმა უთხრა მას ბაქოში ქვეყნის მხტომელთა ნაკრების მწვრთნელმა ვლადიმერ ვოინოვმა და ურჩია, ოლიმპიური სეზონისთვის სერიოზულად მოემზადეო. სხვაგვარად ვარჯიში ვერც მოწაფესა და მის დამრიგებელს წარმოუდგენია. „ახლა მე ყველა მეხმარება, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის მუშაკები... მშობლებიც მხარში მიდგანან, მეუღლეცა და ბავშვიც კი. მეც სხვა რა გზა მაქვს — ოლიმპიადაზე გამოსვლა უნდა ვცადო. მომავალი სეზონი იოლი არ იქნება, მაგრამ მე და ჩემს მწვრთნელს დიდი იმედი გვაქვს"...

**გიორგი ჩოჩიშვილი.**

## ლასტის, წრეში

# 276 ოჯახი სპორტული მოედნის გარეშე

**რატომ არ სრულდება სადირექტივო ორგანოების დადგენილება, რატომ შენდება ახალი საცხოვრებელი კორპუსები სპორტული მოედნების გარეშე?**

**გუშინ** რედაქციაში ტელეფონის ზარი აწკრიალდა — თბილისში სამტრედიის ქუჩაზე, მესამე 16-სართულიან სახლს ამთავრებენ, მაგრამ აქ მცხოვრებ 276 ოჯახს სპორტული მოედანი არ ექნებაო. დაუყოვნებლივ ვეწვიეთ დასახლებულ ადგილს. აქ, ორ 16-სართულიან სახლში უკვე შესახლებულან. სპეციალიზებული სამშენებლო კომბინატის № 1 სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა იური ლელაძემ გვიჩვენა აშენებული კორპუსების პროექტები (მთავარი არქიტექტორ-დამპროექტებელი ნარგიზა ბუძიაშვილი). სამწუხაროდ, ნახაზზე სპორტული კომპლექსის მსგავსი არაფერი იყო მონიშნული.

— პროექტი, როგორც ხედავთ, მხოლოდ სკვერის გაშენებას ითვალისწინებს. მესამე კორპუსში შესახლებულებმა გვთხოვეს პატარა ადგილი დაგვიტოვეთ მოედნის მოსაწყობადო, თორემ საამისოდ სკვერს გამოვიყენებთო, — გვითხრა იური ლელაძემ.

— აქ რომ მოედანი გაკეთდეს, თუ ძალიან მაღალი ღობე არ გაუკეთდა, ძლიერად დარტყმული ბურთი სანაპიროზე სამანქანე გზაზე გადავარდება, შეიძლება მტკვარშიც ჩავარდეს. მაგრამ ხომ შეიძლებოდა ახალ კორპუსებს შორის რომ ელექტროჯიხური და წყლის საქაჩია, სანაპიროსკენ წაეწიათ პროექტის ავტორებს და მის ადგილზე სპორტული მოედანი დაეგეგმათ? დღეს ამ ნაგებობების გადატანა ძნელია, პროექტის შედგენისას კი სირთულეს არ წარმოადგენდა.

ასეთ შემთხვევაში ამბობენ — კომენტარი ზედმეტიაო, მაგრამ ჩვენ მაინც დავძენთ. — დღეს, როდესაც ამდენს ვლაპარაკობთ სპორტული მოედნების მოწყობაზე და მოსახლეობის ფიზკულტურულ მოძრაობაში ჩაბმაზე, საოცარია, რომ არქიტექტორები ასე უსულგულოდ ეკიდებიან საქმეს.



ეს სურათი ერთ-ერთი მაღლივი კორპუსიდანაა გადაღებული. წინა პლანზე ხედავთ წყალსაქაჩსა და ელექტროჯიხურს. სწორედ აქ შეიძლებოდა დაეგეგმათ სპორტული მოედანი.

# კონკურსები კომპოზიციაში

**კიშინიოვის** გაზეთის „ნაროდნოე ობრაზოვანიეს" რედაქცია აცხადებს საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების შედგენის კონკურსს: ორსვლიანი ამოცანები (მსაჯი ა. ლობუსოვი), ეტიუდები (მსაჯი კ. სუმბათიანი), რეტროამოცანები (მსაჯი ნ. პლაკსინი).

კომპოზიციები, თითოეული 2 ცალად, უნდა გაიგზავნოს მიმდინარე წლის 30 დეკემბრამდე შემდეგი მისამართით: 277012, Кишинев, ул. Пушкина, 22, редакция газеты „Народное образование". კონვერტზე უნდა გაკეთდეს წარწერა: „Шахматный конкурс".

* * *

**კიშინიოვის** გაზეთის „სოვეტსკაია მოლდავიას" რედაქცია აცხადებს სამსვლიანი და ნადიშამათზე (სვლების ნებისმიერი რიცხვით) ამოცანების კონკურსს (მსაჯი ა. ლობუსოვი; ამოცანები 2 ცალად). რედაქციის მისამართი: 277612, Кишинев, ул. Пушкина, 22, редакция газеты „Советская Молдавия". მასალები უნდა გაიგზავნოს ა. წ. 31 დეკემბრამდე, კონვერტზე წარწერით: „Шахматный конкурс".

# ფეხბურთის დღეები — ჩვენი საყოველთაო სიხარული!

(დასასრული)

დი მიიღებს მონაწილეობას, საზეიმო გახსნაში ფეხბურთელთა გარდა გამოვლენ ტანმოვარჯიშეები, მოკრივეები, მოჭიდავეები, კალათბურთელები და სხვანი, ქალაქს უამრავი სტუმარი ეყოლება.

საქართველოში საფეხბურთო ზეიმის კარგი გამოცდილება გვაქვს. ტრადიციულ შეხვედრებს სოფელი — სოფელს, უბანი — უბანს, ქუჩა — ქუჩას შეიძლება დაემატოს სხვა ათასგვარი შეჯიბრებაც და მთავარი ისაა, რომ ჩვენი საფეხბურთო დღესასწაული ფორმალურ ღონისძიებად კი არ იქცეს, არამედ დიდმაც და პატარამაც ნამდვილი სიამოვნება მიიღოს მისგან, გაერთოს, დაისვენოს, გახალისდეს.

ფეხბურთის დღეებს მთელი საქართველო იზეიმებს. საამისოდ ყველა სპორტულ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს მრავალფეროვანი გეგმა, ბავშვებს, მოზარდებს და მოზრდილებსაც, რომლებიც სპორტულ ბაზებზე მოვლენ სათამაშოდ, უნდა დახვდეს გასუფთავებული მოედნები, გასახდელები, ბურთები, და, რაც მთავარია, გულითადი მზრუნველობა.

**თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე** 14 საათიდან დაიწყება ბლიცტურნირი ქალაქის საფეხბურთო სკოლების ჩემპიონის გამოსავლენად, შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ 1974-1975 წლებში დაბადებული ბავშვები, შემდეგ ერთმანეთს შეხვდებიან თბილისის 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლისა და „ნორჩი დინამოელის" სკოლის მწვრთნელთაგან დაკომპლექტებული გუნდები.

15 საათზე შედგება საქართველოს პირველობის კალენდარული მატჩი, ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი შეხვდება გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს, ხობის „კოლხეთს". ტაიმებს შორის კი გაიმართება ნორჩ ფეხბურთელთა საკონკურსო შეჯიბრებები, აქვე მოეწყობა შეხვედრები ჩვენს ვეტერან ფეხბურთელებთან.

**სპორტის სასახლეში** 11 საათიდან დაიწყება მინიფეხბურთში თბილისის უბნებს შორის ფინალური მატჩები.

თბილისშივე 26-27 სექტემბერს გაიმართება შეჯიბრებები მინიფეხბურთში, რომელიც ეძღვნება ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავს. მასში მონაწილეობას მიიღებენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, აგრეთვე, ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებული გუნდები, ფინალური მატჩი 17 საათზე შედგება სპორტის სასახლეში.

რა თქმა უნდა, მთელს ამ საფეხბურთო დღესასწაულს ესაჭიროება ორგანიზატორი და მოთავე. ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ ფეხბურთის დღის ღირსეულად აღსანიშნავად.

26 და 27 სექტემბერი თქვენი დღეა, ფეხბურთის მოყვარულებო!



## სსრ კავშირის პირველობა წყალბურთში ● I ლიგა

# ლიგაში ადგილი შეინარჩუნეს

**თბილისელ** არმიელთა შეხვედრამ მოსკოვის ვტუზ-ის წყალბურთელებთან წინა დღით ბაქოს გუნდთან ფრედ დამთავრებული მატჩი გაგვახსენა. ბაქოელებთან პაექრობაში მასპინძლებმა ხელიდან გაუშვეს მოგების შესაძლებლობა. იგივე განმეორდა ვტუზ-ის გუნდთან თამაშშიც.

ამ მატჩში სტუმრები მხოლოდ ერთხელ დაწინაურდნენ, როცა პირველი პერიოდის მიწურულს მესამე ბურთი გაიტანეს და ანგარიში 3:2 გახდა. ამის შემდეგ მოსკოველები ერთთავად მდევრების როლში იყვნენ. მათ მიერ ანგარიშის გათანაბრებას თბილისელთა დაწინაურება მოსდევდა. ისინი სამჯერ (მეოთხე პერიოდში ორჯერ) 2-2 ბურთით დაწინაურდნენ, მაგრამ მატჩის მიწურულს მასპინძელთა კარი მეტოქემ ორჯერ ზედიზედ აიღო და ანგარიში გაათანაბრა. 8:8 (2:3, 2:0, 1:2, 3:3), ასე დამთავრდა ეს შეხვედრა.

ძალიან კარგად ითამაშა თბილისელთა კარის დარაჯმა ლვალაძემ, რომელიც, შეიძლება ითქვას, ამ ტურში საუკეთესო ან ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა.

თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს კელაურაძემ, ასათიანმა (2-2), ფანჩულიძემ, კობახიძემ, დემეტრაშვილმა და ცოტაძემ.

გუშინ ვტუზ-მა მოუგო სკიფ-ს (6:5), ერევნელმა წყალბურთელებმა — ვორონეჟის ასკ-ს (14:6). ბაქოელი და ტაშკენტელი წყალბურთელების შეხვედრა დამთავრდა ფრედ (8:8). თბილისის ასკ-სა და ჟდანოვის აზოვ-ის შეხვედრაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა (11:9). მიუხედავად დარჩენილი მატჩების ანგარიშებისა, თბილისელებმა ლიგაში ადგილი შეინარჩუნეს.

დღეს თბილისში, საირმის ქუჩაზე მდებარე აუზში შეხვედრები 12, ხოლო ხვალ, შეჯიბრების ბოლო დღეს 10 საათზე დაიწყება.

**ავთანდილ გურასაშვილი.**



## სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ფარს მიხედეთ, დინამოელებო!

(დასასრული)

კაცმა რომ თქვას, მთლად ლოგიკურად არც რიგის ვეფ-ის პირველი გამარჯვება მიგვაჩნია. მით უფრო, რომ მინსკში ადგილობრივი რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდი ტაიმს 10 ქულით იგებდა.

თბილისის ჯგუფის სასტარტო შეხვედრების შედეგები ამ მხრივ უფრო კანონზომიერია, თუმცა ბრძოლა აქაც უაღრესად მძაფრი იყო და ბევრი მღელვარებაც მოგვიტანა. მასპინძლებმა, რომლებიც ობიექტურად მეტოქეზე უფრო ძლიერნი იყვნენ, გამარჯვება მოიპოვეს. სატურნირო ცხრილში პირველი გამარჯვება ჩაიწერა წინა ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა ცსკა-მაც, რომლის უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანა შეცდომა იქნებოდა.

ორი, ხასიათით განსხვავებული გუნდი და ორი ბრძოლის აბსოლუტურად ერთნაირი სიუჟეტი. ორივე მატჩი თითქმის ერთნაირად დაიწყო — რამდენადმე შესამჩნევ უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია, ტაიმის მიწურულს კი ფავორიტთა, ამ შემთხვევაში ცსკა-სა და თბილისის „დინამოს", ერთგვარი ინიციატივა გამოიკვეთა.

მეორე ტაიმში უპირატესობა უფრო საგრძნობი გახდა, ყოველ შემთხვევაში ისეთი, რომელსაც დაწინაურებულთა გამარჯვება უნდა მოჰყოლოდა. არმიელები 20, თბილისელები კი 14 ქულით იყვნენ წინ.

მაგრამ მოსკოვის „დინამო" და „შახტიორი" არ არიან ის გუნდები, რომლებიც ადვილად თმობენ ბრძოლას, ბედს ურიგდებიან და ხელებჩამოშვებულნი მსაჯის საფინალო სასტვენს ელოდებიან. თამაში წარიმართა ისე, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე (ერთი გუნდი უპირატესობის შენარჩუნებისათვის იბრძვის, მეორე კი — უნუგეშო მდგომარეობის გამოსასწორებლად). ასე რომ, ყველაფერი თავიდან დაიწყო — ერთხელ უკვე მოგებული ბრძოლის ხელახლა მოგება გაჰდა აჭირო.

ცსკა-ს გათამაშების სტარტზე შესაძლოა ოდნავ უჭირს კიდეც. ყოველ შემთხვევაში, დღეისთვის მას არა ჰყავს არც ტკაჩენკო, არც ტიხონენკო და არც ენდენი. გუნდს რომ ერთი მათგანი გამოკლებოდა, კიდევ არაფერი, მაგრამ ტკაჩენკო, ტიხონენკო და ენდენი ეს ფაქტობრივად საბჭოთა კავშირის ნაკრების ნახევარია, მისი მთავარი ძალა, სული და გული. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ტარაკანოვი, ვოლკოვი, გობოროვი ჩვეულ ფორმაში ჯერ არ არიან. ცსკა დიდი პოტენციის მქონე გუნდია და, დარწმუნებული ვართ, თავის ნამდვილ ძალას კიდევ ბევრჯერ გვიჩვენებს, მაგრამ ახალწვეულებს (გორინი, ბერეჟნოი, მიგლინიეკსი და სხვ.) აკლიმატიზაციისთვის დრო სჭირდებათ და გუნდსაც ამიტომ უჭირს. მანამდე კი... ყველაფერმა ამან მოსკოვის „დინამოს" მატჩის გადარჩენის იმედი ჩაუსახა...

**გუშინ...**
**თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები: ცსკა — „შახტიორი" (დონეცკი) 122:72 (55:35), „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი) — 90:81 (52:45).**

„შახტიორს" ამ მატჩში სხვა სატკივარი ჰქონდა. მე-12 წუთზე გუნდის მთავარმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ერმოლინსკიმ ოთხი ჯარიმა მიიღო და მწვრთნელმა იგი დროებით „დაასვენა". მოედანზე ივახნენკო გამოვიდა. როცა ეს ტანდემი თამაშობს, „შახტიორის" თავდასხმა რეალურ ძალას წარმოადგენს, მაგრამ დონეცკელთა მწვრთნელმა შექმნილ სიტუაციაში ასეთ ფუფუნებაზე უარი თქვა და ორივე თავდამსხმელის მატჩის ბოლომდე შემონახვა გადაწყვიტა. ერმოლინსკიმ, სხვათა შორის, ოთხი ჯარიმით ტაიმნახევარი ითამაშა და ბრძოლის ველი სადღაც შეხვედრის მიწურულს დასტოვა.

თბილისის „დინამოს" შეცდომა სწორედ ეს იყო. ოთხჯერ დაჯარიმებული ერმოლინსკი მოედანზე ამდენ ხანს არ უნდა „გაეჩერებინა". მაშინ პრობლემებიც ნაკლები ექნებოდა და ბრძოლაც სხვაგვარად წარიმართებოდა.

მაგრამ პირველი მატჩის მიხედვით მსჯელობა, ჩვენის აზრით, შეცდომაა, მით უფრო, რომ ამ მატჩმა გუნდს გამარჯვება მოუტანა. ნუ დავივიწყებთ იმას, რომ „შახტიორი" ბოლომდე მებრძოლი გუნდია, არავის სახელსა და ავტორიტეტს არ უშინდება. ამ კოლექტივის მთავარი ღირსება სწორედ ეს გახლავთ. ამიტომ „დინამოს" გუშინწინდელ თამაშს უფრო დაკვირვებული თვალით უნდა შევხედოთ. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ გუნდმა, რომელსაც უკვე საკმაოდ ჰყავს ტანმაღალი კალათბურთელები, არც თავისი და არც მეტოქის ფარი ასე უპატრონოდ არ უნდა მიატოვოს. თანამედროვე კალათბურთი ფარქვეშ ბრძოლასა და სროლების სიზუსტეზეა დაფუძნებული. გამარჯვებულის ბედიც, როგორც წესი, ამ ორ უბანზე წყდება. სროლაში ჩვენი გუნდი, ასე თუ ისე, ძლიერია. ასე რომ, მისახედი დარჩა ფარი. მაშინ თავდასხმასაც მეტს მოვთხოვთ და არც დაცვა იქნება აგრერიგად მებორკილი.

**ნოდარ ბუზუშვილი.**

* * *

**თბილისი. სპორტის სასახლე. 24 სექტემბერი.**

**ცსკა — „დინამო" (მოსკოვი) 82:76 (45:37).**

**ცსკა: ვოლკოვი (19), გობოროვი (17), ბერეჟნოი (15), ლოპატოვი (12), ტარაკანოვი (6), პონკრაშკინი (6), გორინი (4), პოპოვი (3), ბაზარევიჩი.**

**„დინამო": სუხარევი (16), შიშკოვი (14), ოხოტნიკოვი (14), სიზოვი (13), კოლიჩევი (12), ჟიგილიი (3), კორნიშინი (2), შაკულინი (2), კოჩერგინი.**

**მსაჯები: ი. აპოლონოვი (ლენინგრადი) და მ. გაბაჩიევი (პიატიგორსკი).**

**თბილისი. სპორტის სასახლე. 24 სექტემბერი.**

**„დინამო" (თბილისი) — „შახტიორი" (დონეცკი) 86:83 (46:35).**

**„დინამო": დარსაძე (20), დერიუგინი (20), ტიუბინი (16), ბოროდაჩოვი (13), კაპუსტინი (10), სანაძე (3), ოპოშნიანი (2), ფერიაშვილი (2), ოსტიაშვილი.**

**„შახტიორი": ერმოლინსკი (19), შევჩენკო (16), ივახნენკო (15), ბაჩურა (10), ზავალინი (7), გავრიკოვი (6), კროპაჩოვი (6), ტრუშინი (4).**

**მსაჯები: ო. გორბატოვი (კუიბიშევი) და რ. ბრაზაუსკასი (ვილნიუსი).**



როგორც გულშემატკივრებმა იციან, თბილისის „დინამოს" წევრი ნიკოლოზ დერიუგინი ტრავმის შემდეგ დიდხანს გამოეთიშა კოლექტივს. ახლა დერიუგინი კვლავ დაუბრუნდა თავის კლუბს და ქვეყნის ჩემპიონატის სტარტზე გელა დარსაძესთან ერთად 40 ქულა (20-20 ქულა თითოეულმა) მოუტანა „დინამოს".

## სიურპრიზი სტარტზე

**გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი მატჩები.**

**მინსკი.** საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა კაუნასის „ჟალგირისმა" სატურნირო ცხრილში პირველი გამარჯვება ჩაიწერა — სასტარტო შეხვედრაში ვილნიუსის „სტატიბა" დამარცხა — 97:84 (45:34).

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ადგილობრივი რადიოტექნიკის ინსტიტუტისა და რიგის ვეფ-ის მატჩი. ტაიმი, როგორც მოსალოდნელი იყო, მასპინძლებმა მოიგეს—59:49. შესვენების შემდეგ ინიციატივა რიგელთა მხარეს გადავიდა, რომლებმაც ბოლოს და ბოლოს გაათანაბრეს ანგარიში — 99:99. დაინიშნა პირველი დამატებითი დრო, რომელმაც წარმატება სტუმრებს მოუტანა. ვეფ-მა გაიმარჯვა—112:105.

**ლენინგრადი.** ჩემპიონატის პირველი სენსაცია სწორედ აქ, ამ ქალაქში დაფიქსირდა. ლენინგრადის „სპარტაკი" — შარშანდელი საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი უმაღლესი ლიგის დებიუტანტს ტალინის „კალევს" შეხვდა და დამარცხდა — 81:93 (44:52).

ძველი მეტოქეების — კიევის ასკ-ს და „სტროიტელის" შეხვედრაში უპირატესობა არმიელთა მხარეს იყო, რომლებმაც გაიმარჯვეს კიდეც — 109:92 (54:48).

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რეგბიში



**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონის რეგბის მოედანი. 24 სექტემბერი.**

**„მშენებელი" (ქუთაისი) — სამხედრო საჰაერო აკადემია (მონინო) 12:12 (9:6).**

**„მშენებელი": ჟორჟოლიანი; ძოწენიძე, ნემსიწვერიძე, ხარშილაძე, ხამაშურიძე; მაჩიტიძე, ლოსაბერიძე; ობოლაძე, ტურძელაძე, ლილუაშვილი, ნაჭყებია, გრიგალავა, ოდიშარია, თხელიძე, შვანგირაძე.**

**სსა: ბობროვი; ვ. სოროკინი, რომანოვი, ვინოხოდოვი (სალავათოვი), კორნიენკო; მირონოვი, ფრანცუზოვი; ბორისოვი, ივანოვი, კარასიოვი, ლუკიანოვი, ი. სოროკინი, კუშნარიოვი, ტიხონოვი, ოვჩინიკოვი.**

**მსაჯი — ვალერი ბახტიაროვი (მოსკოვი).**

**მართალია,** მეტოქეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები, მაგრამ ეს ფრე სტუმრების წარმატებად უნდა მივიჩნიოთ, რადგან ქუთაისელებმა ბოლო წუთებზე გაუშვეს ხელიდან მოგების შესაძლებლობა.

თამაშის დაწყებისთანავე მონინოელთა საუკეთესო ბომბარდირმა მირონოვმა არეკნით გახსნა ანგარიში. ამან მასპინძლები „გააბრაზა", მეტოქეს მწვავედ შეუტიეს და განუწყვეტელმა იერიშებმა მალე შედეგი გამოიღო. მე-12 წუთზე ქუთაისელთა მრავალსვლიანი კომბინაცია ნემსიწვერიძემ ლელოს გატანით დააგვირგვინა, ლილუაშვილმა კი ზუსტად დაარტყა რეალიზაცია. „მშენებელი" დაწინაურდა — 6:3, მაგრამ ქუთაისელებს უკან არ დაუხევიათ. მე-20 წუთზე ლილუაშვილმა კიდევ ერთი საჯარიმო შეაგდო — 9:3. პირველი ნახევარი თითქოს ამ ანგარიშით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მოსკოველმა არბიტრმა ტაიმს რატომღაც სამი წუთი დაუმატა და ვინოხოდოვმა ანგარიშში სამი ქულით შეამცირა სხვაობა.

მეორე ტაიმიც ქუთაისელთა იერიშებით დაიწყო. მორკინალები ისე აქტიურობდნენ, რომ სტუმრები რამდენჯერმე დაჯარიმდნენ და მე-60 წუთზე ლილუაშვილმა კარის ძელებს შორის გაატარა ბურთი — 12:6. მასპინძელთა უპირატესობამ გვაფიქრებინა, რომ მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო, როგორც ჩანს, ქუთაისელმა რეგბისტებმაც ასე ჩათვალეს, რადგან მათ უკლეს თამაშის ტემპს. მართალია, ამ პერიოდში მონინოელებმა რამდენიმე მწვავე კონტრშეტევა განახორციელეს, მაგრამ ქუთაისელებმა დაცვაში თავგანწირვით ითამაშეს და მეტოქის იერიშები მოიგერიეს. და აი, მაშინ, როცა მათი გამარჯვება აღარავის აეჭვებდა, ქუთაისელებმა საბედისწერო შეცდომა დაუშვეს და სალავათოვმა (ლელოს გატანით) და მირონოვმა (რეალიზაციით) ანგარიში გაათანაბრეს. ჩვენი რეგბისტები კიდევ ერთხელ გადავიდნენ იერიშზე, მაგრამ მონინოელები მსაჯის საფინალო სასტვენმა იხსნა.

**თამაზ ხარაბაძე,**
**„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი.**

29-ე ტურის სხვა მატჩების შედეგები: „ეტს" — „სლავა" 3:3, „ავიატორი" — ასკ 10:6.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 26 სექტემბრისათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „მშენებელი" | 29 | 19 | 2 | 8 | 69 |
| სსა (მონინო) | 29 | 16 | 7 | 6 | 68 |
| „სლავა" (მ.) | 29 | 16 | 4 | 9 | 65 |
| „ავიატორი" (კ.) | 29 | 17 | 2 | 10 | 65 |
| ასკ (ალმა-ათა) | 29 | 15 | 4 | 10 | 63 |
| „ეტს" (კრასნ.) | 29 | 14 | 3 | 12 | 60 |

დღესდღეობით სუპერფინალში გასვლის მთავარი პრეტენდენტები არიან ქუთაისელი და მონინოელი რეგბისტები. დარჩენილ სამ ტურში „მშენებელი" ეწვევა „სლავასა" და „ავიატორს", შინ მიიღებს „ეტს"-ს. სსა ჯერ უმასპინძლებს „ავიატორს", შემდეგ ჩავა კრასნოიარსკში, ბოლო შეხვედრას კი ალმაათელებთან შინ გამართავს.

მეორე ექვსეულში მოასპარეზე თბილისის „ელმაველმა" ჯერ ტირასპოლში წააგო „ელექტრომაშთან" — 3:13, შემდეგ კი შინ სძლია ლენინგრადის „პრიმორეცს" — 6:3. მე-15 წუთზე ძაგანელმა არეკნით დაარტყა და ანგარიში გახსნა. 46-ე წუთზე ლენინგრადელმა ისაკოვმა საჯარიმოს დარტყმით ანგარიშში თანაფარდობა აღადგინა, 68-ე წუთზე კი მარჯანიშვილმა, ასევე საჯარიმოთი, გამარჯვება მოუტანა „ელმაველს". ამ მოგების შემდეგ რკინიგზელებმა 3 ქულით ჩამოიტოვეს „პრიმორეცი". დარჩენილ სამ ტურში „ელმაველი" თბილისში შეხვდება მოსკოვის კლუბებსა და „შევარდენს", „პრიმორეცი" მასპინძლობს „ელექტრომაშს", მაგრამ ბოლო ორ მატჩს სტუმრად გამართავს „შევარდენთან" და მოსკოვის „ლოკომოტივთან".

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 26 სექტემბრისათვის**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკ." (მ.) | 29 | 17 | 3 | 9 | 66 | (—21) |
| „ფილი" (მ.) | 29 | 15 | 5 | 9 | 64 | (—23) |
| „ელ." (ტირ.) | 27 | 9 | 1 | 17 | 46 | (—35) |
| „ელმავ." | 29 | 8 | 1 | 20 | 46 | (—41) |
| „პრიმ." (ლ.) | 29 | 7 | 0 | 22 | 43 | (—44) |
| „შევარდ." | 27 | 3 | 0 | 24 | 33 | (—48) |

# ნებისყოფა!

დასასრული

ვე გაცნობეთ, სეულში, ოლიმპიურ კვირეულში მონაწილეობისთვის ემზადებოდა და ქვეყნის ნაკრების მწვრთნელებმა ამ შეჯიბრებისათვის არ გაათავისუფლეს.

ჩვენი გუნდი რთული ამოცანის წინაშე იდგა — შეჯიბრება სოციალისტური ქვეყნების ერთ-ერთ პრესტიჟულ ტურნირად ითვლება და გუნდებიც სათანადო რანგისა იყო. განსაკუთრებით მრისხანე ძალად გამოიყურებოდა გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ნაკრებები — ბოლო მსოფლიო ჩემპიონატების უცვლელი ფავორიტები.

მით უფრო სასიხარულოა, რომ ბერლინიდან ორივე მთავარი პრიზი თბილისელმა მსროლელმა გია შენგელიამ დაისაკუთრა. მისი გამოსვლა მართლაც საუცხოო იყო, სხვათა შორის ერთგვარად კურიოზულიც კი. საქმე ისაა, რომ გიამ ერთის გამოკლებით ყველა (ცხრა) სერია უშეცდომოდ ჩაატარა. იშვიათი შემთხვევაა! იმ ერთ, დანავსულ ცდაზე კი მას სამი თეფში გაუფრინდა დაუზიანებელი.

ფინალში გია 197 ქულით გავიდა. იგივე შედეგი ჰქონდა „დრუჟბა-84"-ის ჩემპიონს, ბერლინელ აქსელ ვეგნერს. ფინალური ექვსეული „დახურა" ვეგნერის თანაგუნდელმა, მსოფლიოს შარშანწინდელმა ჩემპიონმა ბერნჰარდ ჰოხვალდმა— 195 ქულა.

ფინალში, როგორც ვთქვით, უზადოდ იასპარეზა თბილისელმა საერთაშორისო კლასის ოსტატმა და 222 ქულით (ეს სასროლეთის ახალი რეკორდია) მთავარი პრიზი მოიპოვა. ვეგნერმა ერთხელ ააცდინა სამიზნეს და 221 ქულით დაამთავრა შეჯიბრება. ჰოხვალდი მესამე იყო — 220. ამ დროისათვის გია შენგელია უკვე ტურნირის ორგზის ჩემპიონი გახლდათ. გუნდური პირველობა პირადზე უფრო ადრე ტარდება და ჩვენმა სამეულმა სწორედ ქართველი მსროლელის სიზუსტის წყალობით შეძლო ძლიერი მეტოქეების დამარცხება.

...როცა გუნდური პირველობის მონაწილეებმა სროლა დაამთავრეს, „ცეცხლის ხაზზე" გია შენგელია დარჩა. თუ იგი 25 თეფშს დაამსხვრევდა, საბჭოთა ნაკრებს გდრ-ის გუნდის მსგავსად 435 ქულა უგროვდებოდა და ბოლო სერიაში ნაჩვენები უკეთესი შედეგის წყალობით გამარჯვებულად ცხადდებოდა. თბილისელმა ექიმმა არ გააწბილა თანაგუნდელები, ესტონელი პეტერ პიაკი და ტაშკენტელი ვლადიმირ გაპონოვი. ჩვენს გუნდს, რომელმაც პირველად გაიმარჯვა ამ შეჯიბრებაში, ზურაბ მაჩხანელი ამზადებდა.

# წინ კვლავ ტიმანია

ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში გრძელდება მოჭადრაკე ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. შვიდი ტურის შემდეგ 5 ქულით კვლავ ჰოლანდიელი დიდოსტატი იან ტიმანი ლიდერობს. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება დასავლეთგერმანელი რობერტ ჰიუბნერი. არტურ იუსუპოვს 4 ქულა აქვს და III-IV ადგილებს იყოფს იუგოსლაველ პრედრაგ ნიკოლიჩთან ერთად.

# ფედერაციის თასზე

**გუშინ** გაიმართა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშების VI ტურის მატჩები.

თბილისის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ერევნის „არარატი“.

თამაში თავიდანვე მეტად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა, ორივე გუნდი მოქმედებდა სწრაფად, ტემპიანად, სახიფათო მომენტები მრავლად შეიქმნა როგორც სტუმართა, ისე მასპინძელთა კართან.

პირველ წარმატებას დინამოელებმა მიაღწიეს, გოლი მე-16 წუთზე გაიტანა აჯოევმა — 1:0. ხუთიოდე წუთის შემდეგ გალსტიანმა ანგარიში გაათანაბრა და თითქმის მაშინვე პოლოსიანმა დააწინაურა „არარატი“ — 2:1.

საპასუხო ბურთის გატანას თბილისელები საკმაო ხანს მოუნდნენ და მხოლოდ ტაიმის დასასრულს შეძლო შენგელიამ აჯოევის კარგი გადაცემის გამოყენება — 2:2.

ეს ანგარიში მატჩის დასასრულამდე არ შეცვლილა.

მეტოქეთა შემადგენლობანი: **„დინამო“** — გაბელია, ფირცხალავა, კუდინოვი (ჩხაიძე, 60), თეთრაძე, არზიანი, რევიშვილი, აჯოევი, გუბაზი (მიქაშავიძე, 77), კორძალიძე (ფანცულაია, 27), გურული, შენგელია; **„არარატი“** — ანტონიანი, ვ. ხაჩატრიანი, რ. გალსტიანი, კამალიანი, ოჰანესიანი, ენგიბარიანი, მარკოსიანი (მ. ტონოიანი, 88), პოლოსიანი (დემირჯიანი, 85), ოსიპიანი (ა. ტონოიანი, 82), პ. გალსტიანი, მხითარიანი. მსაჯი ვ. ბარიშნიკოვი (მოსკოვი).

ლანჩხუთში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „გურია“ და ბაქოს „ნეფთჩი“. მატჩის შედეგია — 1:1.

ჩვენს ჯგუფში „ნეფთჩის“ 8 ქულა აქვს, თბილისის „დინამოს“ — 7, „გურიას“ — 5, „არარატს“ — 4. თასისთვის ბრძოლას „ნეფთჩი“ და „დინამო“ გააგრძელებენ.

განვლილ ოთხშაბათს გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები.

### II ჯგუფი

ამ საკლასიფიკაციო ჯგუფში ლიდერობენ შვეციის ფეხბურთელები, მაგრამ მათ თავიანთ მინდორზე, სტოკჰოლმში, მოულოდნელად მარცხი განიცადეს პორტუგალიის ნაკრებთან შეხვედრაში. მატჩის ბედი გადაწყვიტა ცნობილი ბომბარდირის გომეშის მიერ 34-ე წუთზე გატანილმა ბურთმა.

#### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეცია | 7 | 4 | 2 | 1 | 11-3 | 10 |
| იტალია | 5 | 4 | 0 | 1 | 11-3 | 8 |
| პორტუგალია | 5 | 1 | 3 | 1 | 5-5 | 5 |
| შვეიცარია | 5 | 1 | 2 | 2 | 8-8 | 4 |
| მალტა | 6 | 0 | 1 | 5 | 3-19 | 1 |

### III ჯგუფი

ოსლოში ერთმანეთს შეხვდნენ ნორვეგიისა და ისლანდიის გუნდები. ისლანდიელმა ფეხბურთელებმა ამას წინათ თავიანთ მინდორზე დაამარცხეს ნორვეგიელები (2:1) და ამჯერადაც შეძლეს გამარჯვების მოპოვება — 1:0, ეს ერთადერთი ბურთი ედვარდსონმა გაიტანა 31-ე წუთზე. მართალია, ამ გუნდების შეხვედრებს პრაქტიკული მნიშვნელობა აღარა აქვს, ვინაიდან ევროპის ჩემპიონატის ფინალში საკლასიფიკაციო ჯგუფიდან მხოლოდ ერთი გუნდი გადის, საამისოდ კი სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები იბრძვიან, მაგრამ შესარჩევ თამაშებს გარკვეული პრესტიჟული მნიშვნელობა აქვს და ამიტომ, როგორც ხედავთ ყველა თავგამოდებით იბრძვის.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 6 | 4 | 2 | 0 | 11-2 | 10 |
| გდრ | 5 | 2 | 2 | 1 | 8-2 | 6 |
| ისლანდია | 7 | 2 | 2 | 3 | 4-12 | 6 |
| საფრანგეთი | 6 | 1 | 3 | 2 | 3-5 | 5 |
| ნორვეგია | 6 | 1 | 1 | 4 | 3-8 | 3 |

### V ჯგუფი

როგორც პოლონელი მიმომხილველები აღნიშნავენ, 10 ათასი მაყურებელი, რომელიც ვარშავის სტადიონზე მოვიდა პოლონეთისა და უნგრეთის გუნდების თამაშის სანახავად, ძალზე ცოტაა ასეთი რანგის მატჩისთვის, იგი კი მეტად საინტერესო ბრძოლაში ჩატარდა. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს პოლონელმა ფეხბურთელებმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 12-7 | 9 |
| ჰოლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 6-1 | 8 |
| პოლონეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-9 | 6 |
| უნგრეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 9-11 | 4 |
| კიპროსი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-10 | 1 |

### VII ჯგუფი

ბულგარელმა ფეხბურთელებმა სოფიაში ბელგიის ნაკრები მიიღეს და მეტად მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწიეს — 2:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 12-3 | 10 |
| ირლანდია | 7 | 3 | 3 | 1 | 8-5 | 9 |
| ბელგია | 6 | 2 | 3 | 1 | 13-6 | 7 |
| შოტლანდია | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 4 |
| ლუქსემბურგი | 6 | 0 | 0 | 6 | 2-20 | 0 |

# უეფა-ს მკაცრი სანქციები

**ევროპის** ფეხბურთის ასოციაციათა კავშირის ხელმძღვანელობამ კონტინენტის საკლუბო თასების გათამაშებათა სტარტზევე მკაცრი სანქციები გამოიტანა წესრიგის დამრღვევთა მიმართ. კერძოდ, ორი სეზონით დისკვალიფიცირებულია ალბანეთის ჩემპიონი „პარტიზანი“.

ჩემპიონთა თასის მატჩში პორტუგალიის „ბენფიკამ“ 16 სექტემბერს ლისაბონში მიიღო ტირანის „პარტიზანი“. პორტუგალიელებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე — 4:0, მაგრამ ალბანელი ფეხბურთელები თამაშის მსვლელობაში ძალზე უხეშობდნენ, თავს ესხმოდნენ არბიტრს, რომელსაც სამჯერ მოუხდა თამაშის შეჩერება.

უეფა-ს სადისციპლინო კომისიამ, როგორც აღვნიშნეთ, 2 სეზონით აუკრძალა „პარტიზანს“ ევროპულ თასებში მონაწილეობა. გუნდის კაპიტანს მუსტს 1992 წლის 20 სექტემბრამდე დისკვალიფიკაცია აქვს ყველა შეჯიბრებაში, რომლებიც უეფა-ს ეგიდით ჩატარდება. სხვადასხვა ვადით აუკრძალეს თამაში „პარტიზანის“ კიდევ ორ სხვა მოთამაშეს.

ამ ინციდენტის დროს ფრიად უწესოდ იქცეოდნენ ლისაბონის „ბენფიკის“ გულშემატკივრებიც. ამის გამო უეფა-მ 5 ათასი დოლარით დააჯარიმა პორტუგალიის ეს კლუბი.

## მატჩი გადმოიტანეს

იმასთან დაკავშირებით, რომ ვილნიუსის „ჟალგირისის“ ფეხბურთელთა კოლექტივი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მიემგზავრება, ამ გუნდის საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი დონეცკის „შახტიორთან“ 15 ნოემბრის ნაცვლად შედგება 5 ნოემბერს.

## საერთაშორისო მატჩები

**23 სექტემბერს** ევროპის სტადიონებზე გაიმართა რამდენიმე საინტერესო ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა მინიმალური ანგარიშით — 1:0 დაამარცხა დანიის გუნდი, ასეთივე ანგარიშით იტალიის ნაკრებმა სძლია იუგოსლაველებს.

ესპანეთის ფეხბურთელებმა მიიღეს ლუქსემბურგის გუნდი და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

## ოლიმპიურ სარბიელზე

ამ დღეებში ევროპაში გაიმართება ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის რამდენიმე საკვალიფიკაციო მატჩი. „ე“ ჯგუფში ჩეხოსლოვაკიელმა ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ფინეთის გუნდი. შვეციის ქალაქ შელეფტეროში („ც“ ჯგუფი) მასპინძლებმა ანგარიშით 2:0 მოუგეს ესპანეთის გუნდს.



**ბარდაიცვალა** რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი სპორტულ ტანვარჯიშში, პერსონალური პენსიონერი ეთერ პარმენის ასული გაგოშიძე.

ე. გაგოშიძე დაიბადა 1924 წელს, ამბროლაურის რაიონის სოფ. პირველ ტოლაში. ტანვარჯიშში მეცადინეობა შედარებით გვიან დაიწყო, მაგრამ კარგი სპორტული მონაცემებისა და გულმოდგინე ვარჯიშის წყალობით მალე დაიმკვიდრა ადგილი რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში, რომლის ღირსებას იგი დიდხანს იცავდა. იყო საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი. ე. გაგოშიძეს 1948 წელს სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა. უკვე იმ პერიოდში მწვრთნელად მუშაობდა, ჯერ მედიკოსთა სპორტსაზოგადოებაში, 1965 წლიდან კი თბილისის განათლების სამმართველოს ცენტრალურ ტანვარჯიშულ სკოლაში. აქ მან 31 წელიწადი იმუშავა. ბევრი ნიჭიერი ტანმოვარჯიშე აღუზარდა რესპუბლიკას, მის შეგირდებს არაერთ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში უსახელებიათ თავი. 1983 წელს ე. გაგოშიძეს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა.

სათნო, გულისხმიერი, საქმის ერთგული, თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი — ასე იცნობდნენ ეთერ გაგოშიძეს თანამოსაქმენი და აღსაზრდელები, ასეთი დარჩება იგი მათ ხსოვნაში.

ტანვარჯიშის რესპუბლიკური ფედერაცია.

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 26** სექტემბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 26** სექტემბერი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „დინამო“ (თბილისი) — ცსკა. — **20.00.**

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.



**კვირას,27 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე გაიმართება პროფკავშირული სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური კროსი, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავს ეძღვნება.**

შეჯიბრებაში მონაწილეობენ: **I ჯგუფი.** უმაღლესი სასწავლებლები (გუნდის შემადგენლობაში 30 სპორტსმენია, 10 ქალი და 20 ვაჟი); **II.** ტექნიკუმები (10 ქალი და 15 ვაჟი) ,**III.** საწარმოთა სპორტკლუბები (10 ქალი და 10 ვაჟი), **IV.** ფიზკულტურული კოლექტივები (5 ქალი და 10 ვაჟი).

დისტანციის სიგრძე ვაჟებისათვის (ყველა ასაკის) 1800 მეტრია, ქალებისთვის — 1000 მ.

გამარჯვებულ გუნდს ქულათა ჯამი გამოავლენს. I ადგილზე გასული სპორტსმენი 20 ქულას მიიღებს, მეორეზე გასული — 19 და ა. შ.

მონაწილეთა რეგისტრაცია ჩატარდება დღეს 10 საათიდან საქართველოს პროფკავშირულ ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოში (წერეთლის პროსპექტი 95-ა). 11 საათზე იქვე გაიმართება გუნდების წარმომადგენელთა კრება.

კროსის დასაწყისი 12 საათზე.

## „სპორტპროგნოზი“

**37-ე ტირაჟის შედეგები (12-14 სექტემბერი)**

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა ლატარია „სპორტპროგნოზის“ 37-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც გაიმართა 1987 წლის 12-14 სექტემბერს.

ტირაჟში დაშვებულია 8.594.248 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (23) მოგებამ შეადგინა 5.604 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (597) — 431 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (10.208) — 88 მანეთი.

37-ე ტირაჟის მოგებათა განაღდება იწარმოებს 1987 წლის 9 ოქტომბრიდან 9 ნოემბრამდე.

# სალიდერო რბოლა თბილისის ტრეკზე

27-29 სექტემბერს თბილისის ცენტრალურ ველოტრეკზე ჩატარდება სსრ კავშირის ჩემპიონატი სალიდერო რბოლაში. წინასწარი შეჯიბრებები 40 კილომეტრიან დისტანციაზე გაიმართება, ფინალური რბოლა კი 50 კილომეტრზე. ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს ჩვენი ქვეყნის თექვსმეტი უძლიერესი წყვილი, ფინალში კი ერთდროულად რვა ველოსიპედისტი და მოტოციკლისტი გამოვა.

შეჯიბრების ფავორიტებად, ცხადია, საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონები, მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენები (25, 50, 100 კმ-ზე და ერთსაათიან რბოლაში) ალექსანდრე რომანოვი და ალექსანდრე შოპინი (ლიდერი) ითვლებიან. მათ ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევენ ქვეყნის ჩემპიონატის მეორე და მესამე პრიზიორები ვიქტორ კლიმოვი (ლიდერი ევგენი ვლასოვი) და ანატოლი ბესონოვი (ლიდერი ბორის ივანოვი). შეგახსენებთ, რომ პირველი ორი წყვილი პროფკავშირებიდანაა, ესამე კი არმიის სპორტული კლუბიდან.

სალიდერო რბოლა ჩვენს რესპუბლიკაში ველოსპორტის ერთ-ერთი პოპულარული სახეობა იყო მუდამ. ომამდელ პერიოდში და მის შემდეგაც ჩვენ გვყავდა ძლიერი წყვილები, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონები და საერთაშორისო შეჯიბრებების გამარჯვებულნი: გიორგი ლეჟავა, არკადი ხაბურზანია, ივანე სტეპანოვი, ავთანდილ გუნია, ვლადიმერ ძებნიაური, იოსებ გოცირიძე, სხვები და სხვები. არც ისე დიდი ხნის წინათ ჩვენს ქვეყანაში უძლიერეს სპორტსმენებად ითვლებოდნენ საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონები და ექსრეკორდსმენები ალექსანდრე პროკოპენკო და ვლადიმერ პოპოვი (ორივეს ერთი ლიდერი ჰყავდა — ირაკლი კავსაძე). სამწუხაროდ, ამ ჩემპიონატში საქართველოს არც ერთი ველოსიპედისტი არ გამოჰყავს.

შეჯიბრების მთავარი მსაჯია ამ ჩემპიონატების უცვლელი მთავარი არბიტრი ავთანდილ გუნია. ასპარეზობის დასაწყისი — ყოველ დღე 17 საათზე.



**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი**

30 სექტემბერი ● ფეხბურთი ● უეფა-ს თასის საპასუხო მატჩი

**„დინამო“** (თბილისი) — **„ლოკომოტივი“** (სოფია)

დასაწყისი 19 საათზე

მოეწყობა, აგრეთვე, საფეხბურთო ლატარიის გათამაშების მორიგი ტირაჟი.

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 26, 27, 28, 29 და 30 სექტემბერს, ხოლო ორგანიზაციებში — 28 და 29 სექტემბერს 10-დან — 19 საათამდე.

აბონემენტების მფლობელებს შეუძლიათ № 7, 8, 9 და 10 სალაროებში შეიძინონ ფეხბურთის ბილეთები.

იმასთან დაკავშირებით, რომ თამაშის დაწყებამდე 1 საათით ადრე შეწყდება ლატარიის ბილეთების გაყიდვა, გთხოვთ იზრუნოთ მათი დროული შეძენისთვის.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07197